ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 147

12 ივნისი
"---" -------- 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ეზიდთა კავშირს (უფლებამონაცვლე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი -ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში, ს/კ 4060548251) შორის 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №100038804) გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის და ამავე კოდექსის 127² მუხლის და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ეზიდთა კავშირს (უფლებამონაცვლე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი -ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში, ს/კ 4060548251) შორის 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №100038804) გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 31 მაისის №18.380.616 განკარგულების შესაბამისად, შეიცვალოს ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ეზიდთა კავშირს (უფლებამონაცვლე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში ს/კ 4060548251) შორის 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი

ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების (სანოტარო მოქ.რეგ.N:100038804) მე-4 მუხლის 4.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.4. მყიდველის მიერ, ქურთულ კულტურულ ცენტრში, ქურთული ენისა და ისტორიის, კულტურის, საქართველოს კულტურული, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ისტორიის სწავლების კურსების მოწყობა.“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე